საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„კაუკაზიშე პოსტი“

„კაუკაზიშე პოსტი“, („Kaukasische Post" – „კავკასიის ფოსტა"), ყოველკვირეული გაზეთი, გამოდიოდა 1906-იდან თბილისში გერმ. ენაზე. დამაარსებელი და პირველი რედ. – ა. ლაისტი. სხვადასხვა დროს მისი გამომცემლები იყვნენ კ. ფონ კუჩენბახი და ი. შლოინინგი.

„კ. პ-ის" ფურცლებზე შუქდებოდა მასალები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გაზეთი ასახავდა კავკასიის გერმანელთა ყოფას, ქართ. საზ. ცხოვრებას, გერმანელ კოლონისტთა და ქართველთა ურთიერთობას.

გაზეთის პირველი ნომერი 1906 წ. 18 ივნისს გამოვიდა. I მსოფლიო ომის დაწყებისას მისი გამოცემა შეწყდა, ხოლო 1918–22 – განახლდა.

„კ. პ-ში" ა. ლაისტმა გამოაქვეყნა ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ლექსების, აგრეთვე ა. დეკანოზიშვილის პროზაული მინიატიურის თავისივე თარგმანები.

გაზეთს ჰქონდა სხვადასხვა რუბრიკა: „პოლიტიკური მიმოხილვა", „სხვადასხვა ცნობები", „კოლონიებიდან", „მთელი მსოფლიოდან", „ლიტერატურა და ხელოვნება", „ახალი წიგნები", „მხიარული კუთხე".

ლიტ.: ბ რ ე გ ა ძ ე ლ., მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის" ფურცლებზე, თბ., 2010.

თ. დოლიძე